ნერილის ნომერი:##########
თარიღი: 13/11/2024

ადრესატი:

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 08

დ. ლენტეხი 21.10.2024 წ.

2024 წლის 21 ოქტომბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა .

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი, წევრები: დავით პირველი ,ზურაბ ონიანი ,გოგა შავრეშიანი, რომან მუკბანიანი, ირაკლი ქურასბედიანი, კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ამირან ლიპარტელიანი და კომისიის მდივანი თეა ქურდიანი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **„ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისათვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42 0/45.30 და აღმოსავლეთ გრძედის 43 /0/.00.03 სიმაღლეზე ზღვის დონიდან 2606 მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის N გ - 97230311 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ.**

   /მომხს : ს. ავალიანი/

2. **განკარგულების პროექტის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისათვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42 0/45.30 და აღმოსავლეთ გრძედის 43 /0/.00.03 სიმაღლეზე ზღვის დონიდან 2606 მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ“ მიზანშეწონილობის მოწონების შესახებ.**

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2023 წლის 31 იანვარს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისათვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42 0/45.30 და აღმოსავლეთ გრძედის 43 /0/.00.03 სიმაღლეზე ზღვის დონიდან 2606 მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ".

ინიციატივა შემოსული მერიიდან თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მომართვის საფუძველზე. . საკითხი განკარგულების პროექტის მოწონების თაობაზე გავიდა საკრებულოს სხდომაზე და მიღებული განკარგულება გაიგზავნა მერიაში, რადგანაც მერიიდან იყო შემოსული ინიციატივა.

ფაქტიურად დაირღვა განკარგულების მიღების პროცედურა, კომისიის გადაწყვეტილებით - განკარგულების პროექტის მიზანშეწონილობა თანდართული მასალით უნდა გაგზავნილიყო სამთავრობო კომისიაში. შესაბამისად უნდა გასწორდეს ეს საკითი და ბათილად უნდა ვცნოთ 2023 წლის 31 იანვრის N გ - 97230311 განკარგულება.

კომისიის წევრებმა ხმათა უმრავლესობით მიიღეს გადაწყვეტილება- საკითხი ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის N გ - 97230311 განკარგულების ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტისათვის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42 0/45.30 და აღმოსავლეთ გრძედის 43 /0/.00.03 სიმაღლეზე ზღვის დონიდან 2606 მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების თაობაზე“ ბათილად ცნობის თაობაზე გავიდეს საკრებულოს სხდომაზე.

2. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა აღნიშნა,რომ საკითხი ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისათვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42 0/45.30 და აღმოსავლეთ გრძედის 43 /0/.00.03 სიმაღლეზე ზღვის დონიდან 2606 მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ“ უნდა მომზადდეს სწორი ფორმით და პროცედურების დაცვით.